დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (შემდგომში - „წესი“) მიზანია განსაზღვროს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „თსუ“) პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი”) ადმინისტრირების ფარგლებში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - ,,პროგრამა“) პროფესიული სტუდენტის, ქართულენოვან და უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის და მობილობის პირობები, უფლება-მოვალეობები, მიღებული განათლების აღიარების, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის და დიპლომის დანართის გაცემის პროცედურა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები, პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცედურები.

თავი II. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები

მუხლი 2. პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე **აპლიკანტთა** ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) თსუ-ს მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, თსუ ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად. ანკეტა-კითხვარის შევსების ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (11.04.2022, №32/2022)

2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს თსუ-ს მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია თსუ-ს, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - „მართვის სისტემა“) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, თსუ ვალდებულია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. მართვის სისტემაში თსუ-ს მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრი.

5. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება თსუ-ს მიერ მართვის სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, მართვის სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

6. რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, თსუ უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში. (11.04.2022, №32/2022)

მუხლი 4. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად (სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს).

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

3. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ თსუ-ს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
7. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.
8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
9. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

თავი III. აპლიკანტთა შერჩევა

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა წარმოადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს. (11.04.2022, №32/2022)
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვანი პროგრამებისა.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. ცენტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ცენტრი აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს მართვის სისტემაში და თსუ-ს ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. (11.04.2022, №32/2022)
7. ცენტრი ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს გონივრულ ვადაში აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.
8. საშუალო და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების მეთოდები და ეტაპები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.

9. თითოეულ საშუალო და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის თარიღ(ებ)ი განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. ცენტრი აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. (11.04.2022, №32/2022)

10. ცენტრი ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს გონივრულ ვადაში აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.

11. ცენტრი ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში მართვის სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

12. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

14. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

15. საბაზო და საშუალო პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური/სრული ზოგადი განათლების საფეხური;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს/სრული ზოგადი განათლების საფეხურს.

16. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

17. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

18. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და თსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტებს. (11.04.2022, №32/2022)

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

1. აპლიკანტთა შერჩევა პროგრამაზე რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო

საფეხური, შეფასება ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობებით.
2. თითოეულ ინტეგრირებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღ(ებ)ი განისაზღვრება ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე.
3. ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. (11.04.2022, №32/2022)
4. ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს გონივრულ ვადაში აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.
5. ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში, ცენტრი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
6. რეიტინგული სია მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (11.04.2022, №32/2022)
7. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
8. პროგრამაზე რეიტინგული სია დგება მხოლოდ იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
10. ამოღებულია. (11.04.2022, №32/2022)

მუხლი 7. აპლიკანტთა შეფასება

1. აპლიკანტთა შეფასება თსუ-ში ხორციელდება ერთ ან ორ ეტაპად - ტესტირების ან/და გასაუბრების/სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ფორმით.
2. აპლიკანტთა შეფასება არის დიფირენცირებული, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეული პროგრამისთვის და ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეფასების ეტაპ(ებ)ი განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე შერჩევის ეტაპის დაწყებამდე გონივრულ ვადაში.

მუხლი 8. აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიები

1. შეფასების თარიღამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღისა, აპლიკანტთა შერჩევის მიზნით რექტორის მიერ იქმნება შესარჩევი და სააპელაციო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში თსუ-ს წარმომადგენელთა გარდა შედიან თსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის ან/და დარგის წარმომადგენლები.
2. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
3. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია შერჩევის დაწყებამდე, 3 სამუშაო დღით ადრე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს აპლიკანტის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. აღნიშნული კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას აპლიკანტის შეფასებაში და აპლიკანტის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ შესარჩევი კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ცნობილი გახდება კომისიისათვის შერჩევის ეტაპის მიმდინარეობისას, კომისიის წევრის მიმართ განხორციელდება აცილების კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურა და მის მიერ აპლიკანტის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
6. პირი, რომელიც მონაწილეობდა შერჩევის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 9. შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი

1. შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
2. შესარჩევი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
3. შესარჩევი კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი და სხდომაზე დამსწრე კომისიის სხვა წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 10. სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი

1. სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და სხდომაზე დამსწრე სხვა წევრები. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
5. შერჩევის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტებს სააპელაციო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვთ შერჩევის ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. სააპელაციო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება მიღებიდან არა უმეტეს 2 სამუშაო დღისა. მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება შესარჩევ კომისიას.
6. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შესარჩევი კომისია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

მუხლი 11. შესარჩევი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

შესარჩევი კომისია აპლიკანტებთან ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ეტაპ(ებ)ის დასრულებიდან არა უმეტეს 2 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის ხელმძღვანელს უგზავნის შერჩევის შედეგებს, რომელშიც უნდა აისახოს აპლიკანტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მიღებული რეიტინგული ქულა, პროგრამის სახელწოდება და პროგრამის განხორციელების მისამართი.

მუხლი 12. აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების პროცედურა

1. აპლიკანტის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, შესაძლებელია აპლიკანტის შეფასება განხორციელდეს განსხვავებულ დროს, არაუგვიანეს შეფასების ვადების დასრულებისა.

2. აპლიკანტი განცხადებით მიმართავს ცენტრის ხელმძღვანელს და წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტ(ებ)ს, აპლიკანტის განსხვავებულ დროს შეფასებაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე და განსაზღვრავს შეფასების თარიღს, არაუგვიანეს შეფასების ვადების დასრულებისა.

თავი IV. შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა

მუხლი 13. პროგრამაზე ჩარიცხვა

1. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

2. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;

ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.

3. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

4. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება:

ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმა;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;

დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი/საფუძვლები;

ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და ვადის ამოწურვის შემდეგ აპლიკანტები ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ირიცხებიან პროგრამაზე.
6. აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
7. აპლიკანტი, რომელსაც თსუ-ში რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
8. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე თსუ-ს მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში; გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
9. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
10. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
11. თუ ამ მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.
12. თსუ კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული მართვის სისტემაში ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 14. თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ცენტრი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, ცენტრი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
3. ცენტრი უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს

მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

4. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა.

6. პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების ფორმირება, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის შესაბამისად და ამ მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

7. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება ამ წესის 13-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის უფლება აქვს იმ აპლიკანტს, რომელსაც ჩარიცხვის წელს ჩაბარებული აქვს შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი ტესტი.

9. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ჩარიცხვის წლის ტესტირების შედეგის საფუძველზე. თუ ცენტრი დამატებით არ დაადგენს შერჩევის დამატებით ეტაპებს.

10. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას/წინაპირობებს (გარდა იმ პროგრამებისა, რომლებზეც შერჩევა ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით, პროგრამაზე). (11.04.2022, №32/2022)

12. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და თსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტებს. (11.04.2022, №32/2022)

მუხლი 15. პროგრამაზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები

1. პროგრამაზე ჯგუფი არ გაიხსნება, თუ მასზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია.

2. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, უფლება აქვს:

ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე, რომელზეც ჩაირიცხა იგი მობილობის განხორციელებამდე;

ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მონათესავე სხვა პროგრამაზე;

გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე.

თავი V. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

მუხლი 16. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
დ) თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას ცენტრი ასახავს მართვის სისტემაში. (11.04.2022, №32/2022)
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ცენტრი ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდის შემდეგ.

თავი VI. უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა

მუხლი 17. უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა

1. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
2. თსუ-ს მიერ უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილი პირობები და პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმებას, ასევე პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
3. დაწესებულება უფლებამოსილია უცხოენოვან პროგრამაზე შერჩევა განახორციელოს პროგრამის განხორციელების ენაზე.
4. უცხოენოვანი პროგრამა არ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის განხორციელების ენის, ასევე იმ მოდულების სწავლებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
5. უცხოენოვან პროგრამაზე მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:

ა) მისაღები პროგრამების ჩამონათვალი და ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;

ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;

გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების პირობები;

დ) პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დამატებით დადგენილი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციას ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე.
7. ცენტრი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

თავი VII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები

მუხლი 18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. აპლიკანტი, რომელსაც სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში „სსსმ“) პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი რეგისტრაციისათვის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადაში.
2. თსუ განიხილავს მულტიდისციპილინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და ამ წესის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში და შესაბამისი დოკუმენტების

წარმოდგენის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას სსსმ აპლიკანტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
3. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სსსმ აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4. სსსმ აპლიკანტების ჩარიცხვისას თსუ ითვალისწინებს დამატებით კრიტერიუმებს/პირობებს. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სსსმ აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უპირატესობა ენიჭება შემდეგი კატეგორიის აპლიკანტს:
ა) არ აქვს მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსი;
ბ) წინა წელს ვერ მოიპოვა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, სსსმ პირებისთვის გათვალისწინებული არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო;
გ) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირი;
დ) სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე; ე) დევნილის სტატუსის მქონე;
ვ) მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი.
5. სსსმ აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აფორმებს ხელშეკრულებას სსსმ აპლიკანტთან ან/და მის კანონიერ წარმომადგენელთან.
6. ცენტრი ჩარიცხული სსსმ სტუდენტების შესახებ მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტის ინფორმირებას სწავლის დაწყებამდე.

მუხლი 19. დარჩენილი სსსმ აპლიკანტების თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

1. სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, თსუ შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ინფომაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, თსუ იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის განსაზღვრული ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
3. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. აპლიკანტი უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს პროფესიული პროგრამა.
5. პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, ხორციელდება ამ წესის მე-18 მუხლის შესაბამისად.
6. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება ამ წესის 13-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
7. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

თავი VIII. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 20. მობილობის წესით ჩარიცხვა და მიღებული განათლების აღიარება

1. მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს თსუ-ს ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
4. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვა, პროგრამის შესაბამისობის დადგენა და პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება, ხორციელდება ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ. კომისიის მუშაობის წესი და შედეგები აისახება ოქმში.
5. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
6. პროფესიული სტუდენტის მობილობა უნდა განხორციელდეს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

თავი IX. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება თსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით; მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში ჯამურად არაუმეტეს 2 წლის ვადით.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება თსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულება;

გ) პირადი განცხადება; მიზეზის მითითებით, მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველი;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში მოდულების 50% ან მეტი სწავლის შედეგების ვერ დადასტურება;

ე) პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება (დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება ცენტრის მიერ, რა დროსაც გამოიყენება სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის მიზნით ნორმატიული და თსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები და პროცედურა);

ვ) გარდაცვალება;

ზ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ქართული ენის მოდულ(ებ)ის სწავლის შედეგების დაუძლევლობა;

თ) წინამდებარე წესის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შედეგის დადგომა.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და თსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტატუსშეჩერებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

3. სტატუსშეჩერებული პირის განცხადების განხილვა, პროგრამის შესაბამისობის დადგენა და პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება, ხორციელდება ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ, კომისიის მუშაობის წესი და შედეგები აისახება ოქმში.

მუხლი 24. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში თსუ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას თსუ-ს ფარგლებში მოქმედ თავსებად პროგრამაზე, შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების გათვალისწინებით.

2. თუ თსუ-ში არ ხორციელდება შეცვლილ ან გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი პროგრამა,

თსუ ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობას.

3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

თავი X. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს: ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ცენტრში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგ(ებ)ი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან პროგრამების, მოდულების, შეფასების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის თაობაზე;

ვ) პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილი შეფასების დროს ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, უფლებამოსილია მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთხელ;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) ისწავლოს ყველა მოდული, რომელიც არის გათვალისწინებული პროგრამით;

ბ) დაიცვას თსუ-ს წესდება, თსუ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მოთხოვნები, თსუ ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს თსუ-ს შესაბამის შიდასამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები (ინფორმაცია იმის თაობაზე ზოგადად და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თუ რომელ შიდასამართლებრივ აქტს უნდა იცნობდეს პეროფესიული სტუდენტი შესაძლებელია მიღებული იქნას უნივერსიტეტის ვებგვერდის ან ცენტრის მეშვეობით);

გ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) გონივრულ ვადაში აცნობოს ცენტრს მართვის სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე.

3. აპლიკანტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ენიჭება თსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მოქმედებს თსუ-თან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

მუხლი 26. სწავლის საფასური

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება პროგრამაში შემავალი მოდულების ღირებულების ჯამით.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესი, მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრების პროცედურა

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.
2. მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება - 10 წუთი).
3. სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით.
4. მეცადინეობების ცხრილი სწავლის დაწყებამდე განთავსდება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
5. მეცადინეობების ცხრილის ცვლილება დასაშვებია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმების საფუძველზე.
6. პროგრამებზე სასწავლო კვირა, განისაზღვრება ექვსი სამუშაო დღით.
7. პროგრამის სასწავლო პროცესის თარიღები (დაწყება, დამთავრება) განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. პროფესიული სტუდენტების დასვენების დღეები განისაზღვრება ,,საქართველოს შრომის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ დასვენების დღეებში და არდადეგების პერიოდში, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის თარიღებით.
9. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ცენტრი ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და მასწავლებლების მეშვეობით.
10. გამოვლენილი საჭიროებ(ებ)ის ან/და პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულს.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.
12. პროფესიული სტუდენტ(ებ)ის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებელი არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა ცენტრის ხელმძღვანელს აცნობებს აღნიშნულის თაობაზე.

13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გონივრულ ვადაში იქმნება ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და მასწავლებლის მიერ.
14. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიულ სტუდენტს მასწავლებელი გააცნობს მისი შემუშავებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობები, ასევე ინფორმაცია სხვა საჭირო რესურსების შესახებ უნდა შეთანხმდეს ცენტრის ხელმძღვანელის პირველ მოადგილესთან.
16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მოდულის მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:
ა) მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;
ბ) შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები;
გ) პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
დ) განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
ე) გამოიყენოს დამატებითი რაოდენობის სასწავლო მასალა და ნედლეული.
17. ეპიდემიის/პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
18. დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების წესი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შეფასება ხდება მოდულის სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების დადასტურების/ვერ დადასტურების საფუძველზე, შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ის დავალების შინაარსს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი.
2. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი

1. პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

5. იმ შემთხვევაში, თუ მოდულის წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა და პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგები ვერ უდასტურდება, მას არ აქვს უფლება მომდევნო მოდულზე სწავლა გააგრძელოს.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროფესიული სტუდენტი სწავლის შედეგებს დაადასტურებს წინაპირობის მქონე მოდულის დაწყებამდე 6 სამუშაო დღის განმავლობაში.
7. პროგრამაში ჩართულობის მიზნით შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
8. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე, შესაძლებელია ერთი მიმართულების რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება მოდულის ბოლოს.
9. განმსაზღვრელი შეფასებისას, პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა არ არის წინა მოდულის დაძლევა, უფლება აქვს თითოეულ მოდულზე სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ერთჯერადად, ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე ალტერნატიული გასვლის უფლებით პროგრამის დასრულებამდე.
10. განმსაზღვრელი შეფასებისას, პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა სხვა მოდულის დაძლევაა, უფლება აქვს სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ერთჯერადად, ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე ალტერნატიული გასვლის უფლებით წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე.

მუხლი 30. შეფასების გასაჩივრების პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასება შედეგ(ებ)ის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის ხელმძღვანელს, რომელიც 2 სამუშაო დღეში კომისიური წესით განიხილავს განცხადებას.
3. კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაღვრება ცენტრის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

თავი XII. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

მუხლი 31. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

1. მოდულური პროფესიული პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან პროგრამით განსაზღვრული კრედიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო დოკუმენტაციას და ანგარიშს წარუდგენს ცენტრის ხელმძღვანელს.

3. ცენტრის ხელმძღვანელი, კომისიის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ანიჭებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შესაბამის კვალიფიკაციას.

მუხლი 32. დიპლომი და დიპლომის დანართი

1. პროფესიული სტუდენტისთვის მინიჭებულ კვალიფიკაციას ადასტურებს რექტორისა და ცენტრის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და თსუ-ს ბეჭდით დამოწმებული დიპლომი.
2. პროფესიული სტუდენტის დიპლომს თან ერთვის დიპლომის დანართი.
3. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა სათანადო ცნობა.
4. დიპლომი, რომელიც გაიცემა იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. აღნიშნულ შემთხვევაში დიპლომის გაცემის წინაპირობაა პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურება.

თავი XIII. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

მუხლი 33. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფა

1. სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ცენტრი ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის, ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
2. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე).
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

4. მოდულ(ებ)ის მსვლელობისას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტ(ებ)ის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებელი არაუგვიანეს 6 სამუშაო დღისა ცენტრის ხელმძღვანელს აცნობებს აღნიშნულის თაობაზე.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გონივრულ ვადაში იქმნება მოდულის მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას გააცნობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მისი შემუშავებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობები, სხვა საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაცია უნდა შეთანხმდეს ცენტრის ხელმძღვანელის პირველ მოადგილესთან.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მოდულის მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:
ა) მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;
ბ) შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების მეთოდები;
გ) პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
დ) განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
ე) საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
ვ) გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული.

თავი XIV. პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა, მსმენელთა შეფასების წესი, მსმენელის უფლება-მოვალეობები და სერტიფიკატის გაცემა

მუხლი 34. რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე (შედგომში - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა) აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მართვის სისტემის გამოყენებით.
2. თსუ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.
3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში მართვის სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თსუ-ს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული

მომზადება/პროფესიული გადამზადება. დახურული რეგისტრაციის წესით აპლიკანტთა შერჩევის დროს თსუ მართვის სისტემაში ატვირთავს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით მართვის სისტემაში მითითებული უნდა იყოს:

ა) უნივერსიტეტის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) უნივერსიტეტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

გ) უნივერსიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);

დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;

ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება);

ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;

ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვ.);

თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;

ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი და მისამართი;

კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;

ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);

მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;

ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები (რეგისტრაციის დაწყების/დასრულების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყების თარიღს);

ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;

პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;

ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;

რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;

ს) ელექტრონული სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“-,,მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება მართვის სისტემაში იურიდიული პირის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ნ“-,,ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მართვის სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს ცენტრი.

7. თსუ უფლებამოსილია, მართვის სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია, შეცვალოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 35. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. თსუ-ს მიერ, რეგისტრაციის ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის.

2. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს თსუ-ს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს ცენტრი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

3. თსუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს მართვის სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი; გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;

დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;

ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

4. აპლიკანტის რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.

5. მართვის სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამებს.

6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 36. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება თსუ-ს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თსუ შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, თსუ, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის (შემდგომში - მსმენელი) სტატუსის მინიჭებას და ხელშეკრულების გაფორმებას (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია ან ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

მუხლი 37. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება: ა) მსმენელის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;

ბ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;

გ) ხელშეკრულების გაფორმების ვადები;

დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში გათვალისწინებული წინაპირობით განსაზღვრული სხვა დამატებითი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ამ წესის 34-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თსუ უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტებისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება მსმენელსა და თსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და რექტორის შესაბამისი ბრძანებით. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ მართვის სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.

3. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, თსუ უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე და აკმაყოფილებენ 34-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტთა სიაში. თსუ ამ კატეგორიის აპლიკანტებისთვის მსმენელის სტატუტის მინიჭებას, ხელშეკრულების გაფორმებას და მართვის სისტემაში ასახვას უზრუნველყოფს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. თავისუფალი ადგილების შევსებისას თსუ ითვალისწინებს აპლიკანტთა მიერ კონკურსში მიღებულ შედეგებს.

მუხლი 38. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროგრამის დასრულება;

გ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო მსმენელის სტატუსის მოპოვებას;

დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა; ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

ვ) საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის დასაბუთებული მოთხოვნა; ზ) გარდაცვალება.

2. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.

3. მართვის სისტემაში მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება აისახება მისი ძალაში შესვლიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 39. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შეფასების წესი

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: პირველი, განმავითარებელ შეფასებას, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებას და მეორე, განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემაა და გამოიყენება შემდეგი ორი ტიპის შეფასება:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2. განმსაზღვრელ შეფასებაზე უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულებამდე პროფესიული მასწავლებელი, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან შეთანხმებით ნიშნავს დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.

4. დამატებით განმსაზღვრელ შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

5. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე, პროგრამის დასრულებისას.

6. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში.

7. იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში, რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო/საწარმოო კომპანიებში), მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას პროფესიულ მასწავლებელთან ერთად, ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.

მუხლი 40. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის უფლება-მოვალეობები

1. მსმენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ცენტრში არსებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის თაობაზე;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგ(ებ)ი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის, შეფასების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) მსმენელი, რომელიც სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების დროს ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, უფლებამოსილია მოითხოვოს გადაბარება ერთხელ.

2. მსმენელი ვალდებულია:

ა) აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და მიაღწიოს იმ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით;

ბ) დაიცვას თსუ-ს წესდება, თსუ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მოთხოვნები, თსუ ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს თსუ-ს შესაბამის შიდასამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები (ინფორმაცია იმის თაობაზე ზოგადად და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თუ რომელ შიდასამართლებრივ აქტს უნდა იცნობდეს პროფესიული სტუდენტი შესაძლებელია მიღებული იქნას უნივერისტეტის ვებგვერდის ან ცენტრის მეშვეობით);
გ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
დ) გონივრულ ვადაში აცნობოს ცენტრს პროფესიულ მართვის სისტემაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე.

მუხლი 41. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ სერტიფიკატის გაცემა

1. სერტიფიკატი გაიცემა, თუ მსმენელმა დაასრულა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა და მიიღო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებში დადებითი შეფასება.
2. ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის სერტიფიკატის გაცემისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას და ანგარიშს წარუდგენს ცენტრის ხელმძღვანელს.
3. ცენტრის ხელმძღვანელი, კომისიის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელებისთვის სერტიფიკატის გაცემის მიზნით, წარდგინებას აკეთებს რექტორთან.
4. მსმენელის სერტიფიკატი გაიცემა რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
5. სერტიფიკატს ხელს აწერს რექტორი, ცენტრის ხელმძღვანელი და მოწმდება თსუ-ს ბეჭდით.
6. მსმენელის სერტიფიკატს თან ერთვის დანართი.

თავი XV. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 42. გარდამავალი დებულებები (11.04.2022, №32/2022)

1. 2021-2022 წელს პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:
ა) ანკეტა-კითხვარის შევსების ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ბ) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. თსუ ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:
ბ.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ წესის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად ისარგებლოს მობილობით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

2. 2021-2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხოციელდება ამ წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში.

3. 2021-2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართოს პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობ(ებ)ის პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

4. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და თსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტებს.

5. 2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა. თსუ უზრუნველყოფს აპლიკანტთა შერჩევას პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და თსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტებს. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.